იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საუნივერსიტეტო სავალდებულო საგანი ბაკალავრიატში

ს ი ლ ა ბ უ ს ი

**სასწავლო კურსის სახელწოდება:** ინგლისური ენა II ნაწილი
**სასწავლო კურსის კოდი:** U.1E2

**ლექტორი**:

კონსულტაციის დღეები:ორშაბათი-პარასკევი 11:00-15:00სთ
კვირაში 2 საათი

საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე საკონსულტაციოდ გამოყოფილი დრო გადანაწილდება შესაბამისად თითოეულ სტუდენტზე. საჭიროების შემთხვევაში დაინიშნება დამატებითი ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრა.

**კრედიტების რაოდენობა:** 5 კრედიტი (კვირაში ჩატარდება სამი მეცადინეობა,საათების რაოდენობა ერთი სემესტრის განმავლობაში შეადგენს 45 საათს)
**სასწავლო კურსის სტატუსი:** სავალდებულო.
სალექციო კურსი ***(მეორე დონე)*** წარმოადგენს საუნივერსიტეტო სავალდებულო საგანს, რომელიც იკითხება უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტებისათვის.( ისწავლება პირველი კურსის II სემესტრში).

**სასწავლო კურსის მიზნები:** კურსის მიზანია ინგლისურ ენაში წინა სემესტრში განვლილი მასალის გაღრმავება. ლექსიკური მარაგის გაუმჯობესება. გრამატიკული დროებისა და სხვა გრამატიკული ასპექტების სიღრმისეული შესწავლა. კომუნიკაციის დასამყარებლად საჭირო ცოდნის დაუფლება.

**სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები:** იმისათვის, რომ სტუდენტმა სათანადოდ აითვისოს სალექციო კურსით გათვალისწინებული მასალა გავლილი უნდა ჰქონდეს სახელმძღვანელოს წინა (საწყისი) საფეხური.

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები:

| | | |
|---|---|---|
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება** | მიღებული/დაგროვილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება | ინგლისურ ენაზე მცირე მოცულობის ლიტერატურის წაკითხვა და აღქმა; მარტივი ტექსტების შექმნა |

| | | |
|---|---|---|
| | | ინგლისურ ენაზე; |
| **დასკვნის უნარი** | დაგროვილ ცოდნაზე დაფუძნებით ადექვატური ანალიზისა და დასკვნის გაკეთება | ინგლისურ ენაზე წარმართული დებატებისა და დისკუსიების შეჯამების დროს ლოგიკური დასკვნების გაკეთება |
| **კომუნიკაციის უნარი** | შეუძლია სხვადასხვა საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. Fფლობს საკმარისი რაოდენობის ლექსიკურ მარაგს კომუნიკაციის დასამყარებლად. | Aასევე აქვს საკმარისი რაოდენობის ცოდნა გრამატიკული ასპექტებისა და დროების შესახებ რათა სწორად და გამართულად ააგოს წინადადება. |
| **სწავლის უნარი** | ცოდნის ამაღლების მიზნით შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობითა და დახმარებით სწავლა და ახალი ინფორმაციის მოძიება. | საკუთარი პროფესიული მომზადების დონის გასაღრმავებლად თავადვე შეუძლია უცხო ენის ცოდნის გაუმჯობესება. |

**სასწავლო კურსის შინაარსი:**

I კვირა
გრამატიკა: გრამატიკული დროები – ახლანდელი განუსაზღვრელი, ახლანდელი განგრძობითი დროები.
ლექსიკა: ადამიანების გარეგნობა, ხასიათი და მათი დახასიათება. სამსახური, ყოველდღიური საქმიანობა, ფერები, ქალაქის ადგილების აღწერა.
მოთხრობა ტაილანდსა და მის მცხოვრებლებზე. მათი კულტურა და ტრადიციები.
სახელმძღვანელო: **Evans,V; Dooley J. *Enterprise 2.Elementary.* Express Publishing. (gv.6-11).**

II კვირა

გრამატიკა: ახლანდელი მარტივი დრო, ზმნიზედა, წარსული მარტივი (განუსაზღვრელი) დრო.
"უსედ ტო".
ლექსიკა: ადამიანის ყოველდღიური საქმიანობა, საათის ცნობა, სკოლის სხვადასხვა საგნები.
მოთხრობა ასტრონავტების ყოველდღიურ საქმიანობაზე.
სახელმძღვანელო: **Evans,V; Dooley J.** ***Enterprise 2.Elementary.*** **Express Publishing.**

**(gv.12-17).**

III კვირა
გრამატიკა: ზედსართავი სახელი; ზედსართავი სახელის წყობა წინადადებაში; ზედსართავი სახელის ხარისხები – დადებითი, შედარებითი და აღმატებითი.
ლექსიკა: მაღაზიაში; "შოპინგი".
სტატია- "შოპინგი" პარიზში.
სახელმძღვანელო: **Evans,V; Dooley J.** ***Enterprise 2.Elementary.*** **Express Publishing.**

**(gv.18-23).**

IV კვირა
გრამატიკა: წარსული განუსაზღვრელი დრო, წარსული განგრძობითი დრო, ზედსართავი სახელი; ზმნიზედა; წინადადებების შეერთება კავშირებით.
ლექსიკა: გრძნობების/რეაქციები.
სახელმძღვანელო: **Evans,V; Dooley J.** ***Enterprise 2.Elementary.*** **Express Publishing.**

**(gv.26-31).**

V კვირა
გრამატიკა: ახლანდელი განგრძობითი დრო.
**<u>will, be going to;</u>**

პირობითი წინადადების პირველი ტიპი.
ლექსიკა: დღესასწაულები, არდადეგები, სხვადასხვა სამსახურები,სამომავლო გეგმები.
სახელმძღვანელო:: **Evans,V; Dooley J.** ***Enterprise 2.Elementary.*** **Express Publishing.**

**(gv.34-39).**

VI კვირა
გრამატიკა: არტიკლი.
*a/an/some/any; much/many; a few/a little. Should.*

ლექსიკა: სხვადასხვა საკვები თუ სასმელი; მომსახურეობა რესტორანში.
სახელმძღვანელო: **Evans,V; Dooley J.** ***Enterprise 2.Elementary.*** **Express Publishing.**

**(gv.40-45).**

VII კვირა
გრამატიკა: ახლანდელი სრული დრო;
ახლანდელი სრული განგრძობითი დრო.
ლექსიკა: ჯანმრთელობა; ავადმყოფობა; ცვლილებები.
სტატია ერთ ერთი ექიმის შესახებ.
სახელმძღვანელო: **Evans,V; Dooley J.** ***Enterprise 2.Elementary.*** **Express Publishing.**

**(gv.48-53).**

VIII კვირა
გრამატიკა: ნამყო სრული დრო.
წარსული სრული და წარსული განგრძობითი დროები.
ლექსიკა: გამოცდილებები; გრძნობები.
სახელმძღვანელო: **Evans,V; Dooley J.** ***Enterprise 2.Elementary.*** **Express Publishing.**

**(gv.54-59).**

IX კვირა
გრამატიკა: დროების მიმოხილვა.
ვნებითი გვარი.
ლექსიკა: კულტურული ცხოვრება; მუზეუმები; თეატრები.
სახელმძღვანელო: **Evans,V; Dooley J.** ***Enterprise 2.Elementary.*** **Express Publishing.**

**(gv.62-67).**

X კვირა
გრამატიკა: ბრძანებითი კილო. *might, could, have to/had to, must, can, be allowed to.*

ლექსიკა: წესების დაცვა; გაფრთხილება, უბედური შემთხვევები. უსაფრთხოების წესების დაცვა.
სახელმძღვანელო: **Evans,V; Dooley J.** ***Enterprise 2.Elementary.*** **Express Publishing.**

**(gv.70-75).**

XI კვირა
გრამატიკა: პირობითი წინადადების მეორე ტიპი.
ლექსიკა: გარემო და გარემოს დაცვა; ჰაერის დაბინძურება; საფრთხეში მყოფი ცხოველთა სახეობები. ადამიანის ოცნება და სიზმარი.
სახელმძღვანელო: **Evans,V; Dooley J.** ***Enterprise 2.Elementary.*** **Express Publishing.**

**(gv.76-81).**

XII კვირა
გრამატიკა: დროების მიმოხილვა.პირობითი წინადადებები.
ლექსიკა: შენობების ადგილმდებარეობის აღწერა; კურორტები; ამინდი; სამსახურები.
სახელმძღვანელო: **Evans,V; Dooley J. *Enterprise 2.Elementary.* Express Publishing.**

**(gv.82-87).**

XIII კვირა

გრამატიკა: ინფინიტივი.

“ინგ”-იანი ფორმები.

ლექსიკა: ფესტივალები; ტანსაცმელი. ადამიანების კომენტარები.

სახელმძღვანელო: **Evans,V; Dooley J. *Enterprise 2.Elementary.* Express Publishing.**

**(gv.92-97).**

XIV კვირა

გრამატიკა: ირიბი და პირდაპირი თქმა.

ლექსიკა: გარეული და შინაური ცხოველები. საფრთხეში მყოვი ცხოველები რომელთაც გადაშენება ემუქრებათ.

სახელმძღვანელო: **Evans,V; Dooley J. *Enterprise 2.Elementary.* Express Publishing.**

**(gv.98-103).**

XV კვირა

გრამატიკა: Pპირდაპირი და ირიბი თქმა.

ლექსიკა: უახლესი ტექნოლოგიები. კომპიუტერები – ინტერნეტი.

ინტერნეტის შექმნა – World Wide Web.

სახელმძღვანელო: **Evans,V; Dooley J. *Enterprise 2.Elementary.* Express Publishing.**

**(gv.104-109).**

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები:** სასწავლო კურსის სწავლების დროს გამოიყენება ლექცია, წერითი და ზეპირი გამოკითხვა. სემესტრში ერთხელ სტუდენტი წარმოადგენს პრეზენტაციას.

- **შეფასების კრიტერიუმები:** შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

1) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
2) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
3) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
4) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
5) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

1) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

2) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებებით.

სულ 100 ქულა.

შუალედური შეფასებები _ მაქსიმუმ 60 ქულა

დასკვნითი გამოცდა _ მაქსიმუმ 40 ქულა

შუალედური შეფასებები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

2 შუალედური წერა (15X2) –მაქსიმუმ 30 ქულა

(თითოეული- 15 ქულა)

შუალედური წერები ჩატარდება VIII და XIV კვირაში .

შუალედური წერა იქნება ტესტური სახის , რომელშიც შევა საკითხები განვლილი მასალიდან.

2 ზეპირი მოხსენება. (თითოეული - მაქსიმუმ 5 ქულა) . ჯამში – 10 ქულა.

მოხსენების თემა შეირჩევა სტუდენტებთან შეთანხმებით და აუცილებლად მოიცავს დაგროვილ ლექსიკურ მარაგს.

აქტიურობა- 5 ქულა(მასში შევა ლექციაზე აქტიურობა, საშინაო დავალების შესრულება და მისი ხარისხი მთელი სემესტრის განმავლობაში).

გრამატიკაში განვლილი მასალის გამოყენებით).

1 ზეპირი პრეზენტაცია - მაქსიმუმ 10 ქულა. იგი ჩატარდება XV კვირაში. Lლექტორის მიერ შეთავაზებული თემატიკიდან სტუდენტი თავად აირჩევს პრეზენტაციის თემას.
პრეზენტაციის შეფასება განისაზღვრება შემდეგი აუცილებელი კომპონენტების დაცვით:
1) თემის გასაგებად წარმოდგენა _მაქსიმუმ 4 ქულით
2) დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა _ მაქსიმუმ 4 ქულით
3) ვიზუალური საშუალებების გამოყენება_ მაქსიმუმ 2 ქულით

დასკვნითი გამოცდა _ მაქსიმუმ 40 ქულა
სულ _ მაქსიმუმ 100 ქულა

გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი შუალედურ შეფასებებში მოაგროვებს მინიმუმ 11 ქულას.
კრედიტი ენიჭება სტუდენტს მინიმუმ 51 ქულაზე.
თუ სტუდენტს შუალედურ შეფასებებში უგროვდება მინიმუმ 51 ქულა, მაშინ ის თვითონ წყვეტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხს, რის შესახებაც იგი დროულად აცნობებს ფაკულტეტის დაკანატს.

დასკვნითი გამოცდა იქნება ზეპირი და წერითი სახის.თუ სტუდენტი გადაწყვეტს გამოცდაზე გამოსვლას ორივე მათგანზე გამოსვლა სავალდებულოა.

ძირითადი ლიტერატურა:

**Evans,V; Dooley J.** ***Enterprise 2.Elementary.*** **Express Publishing.**

**Evans,V; Dooley J.** ***Enterprise 2.Elementaryr.Workbook.*** **Express Publishing.**

სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.